ხელშეკრულება № 188
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი ივლისი 2019 წ.

დაიდო, ერთის მხრივ შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ ს/კ 404945164 წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორი **ლაშა კილაძის** (შემდგომში „შემსყიდველი“) სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს„გიორგი“ ს/კ 400110599 დირექტორის **გიორგი სუმბაძის** (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ შიდა შემოსავლების ფარგლებში **ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის** (CPV 31200000) **და იზოლირებული მავთულები და კაბელების** (CPV 31300000)- შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **630.00 (ექვსას ოცდაათი) ლარი**

2.2.1 ელექტრო დამაგრძელებელი ვიკო (3მ. 3ჩამრთველი) 20 ცალი - 1ცალი - 9.00 ლარი 20 * 9.00 = 180.00 (ას ოთხმოცი) ლარი. (CPV 31224100) მათ შორის (CPV 31200000) **ღირებულებაა 180.00 ლარი**

2.2.2 ელექტრო სადენი 2 * 2.5 რაოდენობა - 200 მეტრი - 1 მეტრის ფასი 1.35 ლარი 200 * 1,35 = 270.00 (ორას სამოცდაათი) ლარი. (CPV 31320000)

2.2.3 ელექტრო სადენი 2 * 1.5 რაოდენობა - 200 მეტრი - 1 მეტრის ფასი 0.9 ლარი 200 * 0.9 = 180.00 (ას ოთხმოცი) ლარი. (CPV 31320000) მათ შორის (CPV 31300000) **ღირებულებაა 450.00 ლარი**

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

4.1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია ;

4.1.1 ელექტრო დამაგრძელებელი ვიკო (3მ. 3ჩამრთველი) 20 ცალი

4.1.2 ელექტრო სადენი 2 * 2.5 რაოდენობა - 200 მეტრი

4.1.3 ელექტრო სადენი 2 * 1.5 რაოდენობა - 200 მეტრი

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

4.3. შესყიდვის ობიექტის უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი” წერილობით ან ტელეფონით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები.

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი – თბილისი, ქავთარაძის ქ. 3.

5.2. შესყიდვის ობიექტის გატანა მოხდება ერთჯერადად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველის მიერ მომსახურების გაწევა წარმოებს ერთჯერადად. მომსახურების გაწევის დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

6.2 მიღება – ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან ენიჭება ცენტრის შესყიდვების განყოფილების სპეციალისტს ვახტანგ გორგილაძეს და სამეურნეო განყოფილების მთავარ სპეციალისტს ბესიკ წიტაიშვილს.

6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

6.4. „მომსახურების“ გაწევის დროს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას, აუცილებლობის შემთხვევაში გამოცვლას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

6.5 იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მიერ შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება „მომსახურების“ უხარისხობა, იგი წერილობით ან ტელეფონით აცნობებს „მიმწოდებელს“ და მოითხოვს სათანადო კომპენსაციას.

7. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის (სასაქონლო ზედნადები/ანგარიშ ფაქტურა) საფუძველზე, მხარეთა შორის მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

7.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.

8.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%–ს.

8.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები ყოველი დარღვევისას იხდიან პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

8.5. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.6. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღედან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

9.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

9.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

9.2.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.

9.2.2. დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

9.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

9.3.1. მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ ხელშეკრულების ყველა პუნქტის შესრულება.

9.3.2. უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

9.3.3. არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

9.4.1. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მიერ გაწეული „მომსახურების“ ღირებულების სრული ანაზღაურება.

9.4.2. განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების“ გაწევა ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.3. აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

9.4.4. მიმართოს სასამართლოს ან სხვა შესაბამის ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

10.2. ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

10.3. ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

10.4. ხელშეკრულების შეწყვეტა მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობითი შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

10.5. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.5.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება“.

10.5.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ გაწევა სრულად ან დადგენილ ვადებში.

10.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

101.7. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

101.7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;

10.7.2. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.7.3. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.

10.8. საჯარიმო სანქციები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. დაუძლეველი ძალის მოქმედება

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით, რომელსაც ცნობენ მხარეები.

112.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისგან.

11.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.
12.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავას გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

13. გამოსაყენებელი სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

15. ურთიერთობა მხარეებს შორის

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
15.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დადგება.

16. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
16.2. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.
16.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.
16.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.
17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 2019 **წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.**
17.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
17.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ–კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

18. განსაკუთრებული შენიშვნები

18.1. ხელშეკრულება დამოწმებულია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლებიოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით და/ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

19. მხარეთა რეკვიზიტები

	„შემსყიდველი“		„მიმწოდებელი“
დაწესებულების დასახელება	შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“	**დაწესებულების დასახელება**	შ.პ.ს„გიორგი“
	რეკვიზიტები:		**რეკვიზიტები:**
ს/კოდი:	404945164	**ს/კოდი:**	400110599
მომსახურე ბანკი:	ს/ს ,,თი ბი სი ბანკი,,	**მომსახურე ბანკი:**	ს/ს „თიბისი ბანკი“,
ბანკის კოდი:	TBCBGE22	**ბანკის კოდი:**	
ანგ/ანგარიში:	GE75TB7810436020100002	**ანგ/ანგარიში:**	GE14TB7716536080100004
მის/იურიდიული	ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. N21ა	**მის/იურიდიული**	ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. 3
მის/ფაქტიური	ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. N21ა	**მის/ფაქტიური**	
საკ/ინფორმაცია		**საკ/ინფორმაცია**	599 10 28 83

გენერალური დირექტორი	ი.მ.
ლ. კილაძე	გ.სუმბაძე

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2019.07.02 15:43:58 +04'00'

მიღება-ჩაბარების აქტი №188

ქ. თბილისი ივლისი 2019წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“, წარმოდგენილი ცენტრის შესყიდვების განყოფილების სპეციალისტის ვახტანგ გორგილაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ „მიმწოდებელი”

შ.პ.ს „გიორგი“

(დაწესებულების დასახელება)

გიორგი სუმბაძე

(ხელმძღვანელის დასახელება)

სახით, ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2019 წლის ივლისს. გაფორმებული №188 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად, 2019 წლის ივლისს . „მიმწოდებელმა“ უზრუნველყო „შემსყიდველისთვის“ხელშეკრულებით განსაზღვრული სპეციფიკაციების და რაოდენობების შესაბამისად საქონლის მიწოდება.

1. ელექტრო დამაგრძელებელი ვიკო (3მ. 3ჩამრთველი) 20 ცალი - ღირებულება 180.00 ლარი
2. ელექტრო სადენი 2 * 2.5 რაოდენობა - 200 მეტრი - ღირებულება 270.00 ლარი
3. ელექტრო სადენი 2 * 1.5 რაოდენობა - 200 მეტრი - ღირებულება 180.00 ლარი

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **630.00 (ექვსას ოცდაათი) ლარი**
მიწოდებული მომსახურების ღირებულება შეადგენს: **630.00 (ექვსას ოცდაათი) ლარი**
მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ და ხელმოწერით ადასტურებენ მიღება ჩაბარების აქტის სისწორეს.

ჩააბარა:
შ.პ.ს „გიორგი“
გ.სუმბაძე

_____

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“
შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი:
ვ. გორგილაძე
_____

მიიღო:
შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის
სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი:
ბესიკ. წიტაიშვილი

_____

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე (№188; 07,2019წ.) ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესეთა კონფლიქტს.

ასევე ამავე მუხლის შესაბამისად, ირინე ყარაულაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი) ვ. გორგილაძე (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი) და ბ. წიტაიშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი) ხელმოწერით ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (№188; 07,2019წ.) მიმწოდებელთან („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, პირველი პუნქტის „გ" და „ე" ქვეპუნქტები) შპს „გიორგის"-თან.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის გენერალური დირექტორი: ---------- /ლ. კილაძე/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი: _____ /ი.ყარაულაშვილი/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი_____ /ვ. გორგილაძე/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი:

_____ /ბ. წიტაიშვილი/

07,2019წ.

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2019.07.02 15:44:19 +04'00'